საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს

სსიპ საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს დირექტორის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

KA020162195616115

ქ. ბათუმი

№ 01/01/39 **24** / ივლისი / **2015** წ.

სსიპ "საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს" დირექტორის **2013** წლის **16** დეკემბრის **N086** "საჯარო ინფორმაციის პროაქტიული გამოქვეყნების სტანდარტის დამტკიცების შესახებ" ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლისა და "საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს დებულების დამტკიცების თაობაზე" საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2011 წლის 14 აპრილის N1-1/585 ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის "დ" ქვეპუნქტის შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. შეტანილ იქნას ცვლილება სსიპ "საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს" დირექტორის 2013 წლის 16 დეკემბრის N086 ბრძანებაში "საჯარო ინფორმაციის პროაქტიული გამოქვეყნების სტანდარტის დამტკიცების შესახებ" და ბრძანებით დამტკიცებული N1 დანართის 3.1. ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

3.1	ადმინისტრაციულ ორგანოში გამოცხადებული ვაკანტური პოზიციების ჩამონათვალი, კონკურსის შედეგები (მხოლოდ კონკურსში გამარჯვებულ პირთა ვინაობა), კონკურსის შედეგების გასაჩივრების წესი და პროცედურა	განახლებადია ცვლილების შემთხვევაში	ადამიანური რესურსების მართვისა და საქმისწარმოების სამმართველო	კომისიის მიერ გადაწყვეტილების მიღებიდან 10 დღე

2. ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი ზაზა მახარაძე